# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 აგვისტო
ხუთშაბათი
2023 წელი
№33 (9295)
ფასი 40 თეთრი




ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და სრულიად მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ რაჭაში, შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო.

ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ ახლობლებსა და მთელ ჩვენს ქვეყანას.

მადლობა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში ჩართულ ყველა უწყებას, მადლობას ვუხდით ყოველ პოლიციელს, მაშველსა და მოხალისეს, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძვიან სტიქიის შედეგებს და საკუთარი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაკარგულების მოძებნამდე, ყველაფერს აკეთებენ თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად.

7 აგვისტო გლოვის დღედ გამოცხადდა.

გლოვის დღესთან დაკავშირებით, ბორჯომში ისევე როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ შენობაზე სახელმწიფო დროშები დაშვებულია.

## გმირებს არასდროს ივიწყებენ

15 წელი შესრულდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან, რომელიც რუსეთის ოკუპაციით დამთავრდა და დროებით დაიკარგა აფხაზეთის და ოსეთის ტერიტორიები. ამ ომმა თვალნათლივ დაგვანახა რუსეთის მზაკვრული ნაბიჯი ჩვენი ქვეყნისათვის. არ გვაპატიეს დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, რომლისკენაც ასე დაუღალავად და შინა თუ გარე მტრების წინააღმდეგ თითქმის ყოველდღიური ბრძოლა გვიწევს.




2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომში 169 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი, 228 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, დაიჭრა 1747 ადამიანი, დაინგრა და გაპარტახდა მრავალი სოფელი, სამრეწველო, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტი, რომელთა ზარალი დღესაც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას.

ამასთან, სახელმწიფო დროშები დაეშვება 8 აგვისტოსტოდან 9 აგვისტოსტომდე საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების ნიშნად.

გვწამს, ბოლო კეთილი იქნება, საქართველოს ქუჩებშიც იქნება საზეიმო დღეები და დაკარგულ ტერიტორიებს მშვიდობიანი გზით დავიბრუნებთ.

## ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებისათვის ღონისძიება მოეწყო

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ტაბაწყურის თემში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებისათვის ღონისძიება მოეწყო.

მათთვის ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში არსებული ატრაქციონები უფასო იყო. საბაგიროთი გაისეირნეს პლატოზე. შემდეგ კი, სოფელ ჩითახევში გადაინაცვლეს, სადაც სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში -



ფრენბურთი, ზიპლაინი, კედელზე ცოცვა მიიღეს მონაწილეობა. საღამოს კი ჯომარდობაშიც აქტიურად ჩაერთნენ.

მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ტაბაწყურის თემის მაჟორიტარი დეპუტატი **ანდრუშ ირიციანი,** გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

შეგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ არაერთი ღონისძიება დაგეგმილა. აღნიშნული საბჭო მუშაობას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.

## სოციალურ პროგრამებს ქვეპროგრამა დაემატა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს, სოციალურ პროგრამებს 18 წლამდე ასაკის შშმ პირების საკურორტო მომსახურეობის ქვეპროგრამა დაემატა.

აღნიშნულ პროგრამაში 96 ბენეფიციარია დარეგისტრირებული და ამ დროისათვის საკურორტო მომსახურებით 20-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

ქვეპროგრამა 18-წლამდე ასაკის შშმ პირებისთვის წელიწადში ერთხელ საკურორტო მომსახურებისთვის 800-ლარიანი ვაუჩერის გაცემას ითვალისწინებს.

საკურორტო მომსახურება მიეცემა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს.

ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს ისარგებლოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში ან კერძო გამქირავებელთან 6 დღე-ღამით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია მოსახლეობის დაავადებათა პრევენციის შემდგომი მკურნალობის ხელშეწყობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით 23 პროგრამას ახორციელებს.

## თათბირი მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო რწმუნებულის **ბესიკ ამირანაშვილის** ხელმძღვანელობით, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო თათბირი გაიმართა.

სამუშაო თათბირზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

რეგიონის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, მათი შესრულების ვადები გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში;

მიუსაფარი ცხოველებისთვის ინტერმუნიციპალური თავშესაფრის აშენების საჭიროების საკითხი.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ექვსივე მუნიციპალიტეტის მერთან გამართულ შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე - **დავით ვარდიაშვილი,** რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის ხელმძღვანელი - **მარინა გაჩეჩილაძე,** ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი - **სოსო ალიბეგაშვილი** და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **დავით ლომიძე** ესწრებოდნენ.

## შეუძლებელი არაფერია

**როდესაც** შენი პროფესია საყვარელ საქმეს უკავშირდება, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ერთია ისწავლო, ცოდნა შეიძინო და მეორეა, როდესაც უკვე შეძენილ ცოდნას მომავალში, რეალურ ცხოვრებაში როგორ გამოიყენებ. მე პირადად იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, ვისაც სპონტანურად არ აურჩევია მომავალი პროფესია და სანამ მისაღები გამოცდების განაცხადს შევავსებდი, გააზრებულად ვიცოდი, რომ ჟურნალისტიკის გარდა შერჩეული ფაკულტეტების სიაში სხვა არაფერს ჩავწერდი თუ არა ჟურნალისტიკას. ახლაც მახსოვს დედაჩემის ნათქვამი - იქნებ და სხვა ფაკულტეტიც ჩაგეწერაო. მაგრამ რომ ვიხსენებ იმ ემოციებს, როდესაც ეროვნული გამოცდების პასუხები გამოქვეყნდა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, მთელ უბანს ესმოდა ჩემი „ბედნიერებისგან გამოწვეული კივილი“. მე ის უფრო მიხაროდა, რომ შეუძლებელი ჩემთვის არაფერი იყო და ოჯახის წევრებსაც რომ დავუმტკიცე. გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე დავწერე კიდეც, რომ ჩემი პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკის სფეროში, სწორედ გაზეთ „ბორჯომსა“ და გაზეთ „ცისარტყელაში“ გადავდგი. სწორედ ჩემი მშობლიური გაზეთები იყვნენ უდიდესი მოტივატორები იმისა, რომ შემეყვარებია „მართალი სიტყვა“ და „მემსახურა მართალი სიტყვისთვის“. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდიც ერთი დიდი ზეიმი იყო ჩემთვის. კვირაში რამდენიმე დღე წამყვან ტელევიზიებში მიწევდა პრაქტიკა, გახლდით უნივერსიტეტში გამომავალი გაზეთის ნორჩი კორესპონდენტი. სტუდენტობის ბოლო წლებში კი აქტიურად ჩავერთე საგამომცემლო სფეროში და ვმუშაობდი გაზეთ „ახალ აზრსა“ და ჟურნალ „ლიდერ XXI“-ში. რაც მთავარია, გახლდით წარჩინებული სტუდენტი (პრეზიდენტის სტიპენდიანტი) და ჩემი რამდენიმე წლიანი სწავლაც საოცნებო დოკუმენტით - წარჩინების დიპლომით დავაგვირგვინე. მეამაყება ნამდვილად, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ისევ ჩემ მშობლიურ ქალაქში გავაგრძელე ცხოვრება, ოჯახიც აქ შევქმენი და საყვარელ საქმესაც ისევ მშობლიურ გაზეთში დავუბრუნდი. ყველაზე რთული კი რაც მუშაობის პროცესში გავიარეთ, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე მსოფლიო პანდემია იყო და ჩემ გაზეთს ერთი წუთით არ შეუწყვეტია გამოცემა. სწორედ თითოეული თანამშრომლის უდიდესი შრომითა და რაც მთავარია, საქმისადმი უდიდესი სიყვარულით განმსჭვალული გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის, ბატონი ვალერიან ლომიძის გვერდში დგომით, ბრძოლითა და შემართებით მოვედით დღემდე. პირადად ჩემზე კი რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ჟურნალისტისთვის და მითუმეტეს სამი შვილის დედისთვის, რომლის შვილებიც სკოლის მოსწავლეები არიან და გამოიარეს ონლაინ სწავლების პერიოდი, ნამდვილად ვერ შევძლებდი საყვარელი საქმის კეთებას, რომ არა ჩვენი რედაქტორი, რომელიც საოცარი შეგნებითა და გვერდში დგომით მიწყობდა ხელს, რომ ჩემი შვილები დასწრებოდნენ გაკვეთილებს და მეც მათთან ერთად ვყოფილიყავი. ხოლო, როდესაც გაკვეთილები დასრულდებოდა, შემდგომ მოვსულიყავი სამსახურში.



აუცილებლად მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი მტკივნეული დარტყმა გაზეთ „ბორჯომზე“, რომელიც დეკემბრის ბოლოს მოაყენეს ჩვენ გაზეთს და საბედნიეროდ, ისევ ჩვენი მებრძოლი და იმედის მომცემი რედაქტორის დამსახურებით დღესაც გამოვდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ადამიანი ვარ, პირადად მე რაღაც მომენტში უიმედობის განცდა დამეუფლება ხოლმე კიდეც, თუმცა მერე ბატონი ვალერიანის შემართებას და მებრძოლ სულს რომ ვუყურებ, მითქვამს, - არა ნატო, შენ ყველაფერს შეძლებ. დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ხელფასის მოლოდინის გარეშე, გასამრჯელოს გარეშე, შენი შესრულებული საქმის საფასურის გარეშეც კი ყველაფერი შესაძლებელია. მთავარია, საკუთარი საქმის უსაზღვრო სიყვარული გაგაჩნდეს და როდესაც ხედავ იმას, რომ გვერდით იმედის მომცემი ხელმძღვანელი გიდგას, შეუძლებელი მართლაც არაფერია.

**ნატო მელიქიძე**

## გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი»!

**ბორჯომელებო და ბორჯომის პატრიოტებო ძალიან ცუდ დღეშია გაზეთი „ბორჯომი“ და მისი რედაქციის კოლექტივი, საუკუნეს მიღწეული გაზეთი დახურვის პირასაა, ყველას გვიჭირს, მაგრამ ისე არა, რომ თვეში 5 ლარით ვერ დავეხმაროთ გაზეთის რედაქციას. გამოიწერეთ გაზეთი უბნის დამტარებელთან და ამით გამოხატეთ თქვენი ბორჯომელობა და ერთგულება გაზეთისადმი.**

**ლილი კობახიძე**

# ილუზიური ქაოსი, თანამედროვე მედიცინა და მოტყუებული პაციენტები

## (ამბავი ასე, ვრცლად მოთხრობილი)

**ბორჯომის** და მთლიანად „ჯეოჰოსპიტლებს“ და კლინიკებს ადამიანი ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესების დროს აკითხავს.

როგორც წესი, შედიხარ ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ კარებში, სადაც გხვდება დაცვის თანამშრომელი, რომელიც მაშინვე ღიმილით გესალმება და გეკითხება, თუ რამ შეგაწუხა. გაძლევს რიგით ნომერს, რომლითაც შეგიძლია უბნის ექიმთან შესვლა.

სწორედ ამის შემდეგ იწყება ილუზიური ქაოსი, მოდიან ავადმყოფები, ძირითადად პენსიონერები და ელოდებიან თანამშრომლებს, რომლებმაც მუშაობა უნდა დაიწყონ, ზუსტად დილის 10 საათზე. თუმცა რეგისტრაციის განყოფილებაში ადგილზე არავინაა...



დაგვიანებით შემოდიან ახალგაზრდა თანამშრომლები და იკავებენ თავიანთ სამუშაო ადგილებს. ირთვება კომპიუტერები და იწყება რიგითი ნომრებით გამოძახება. რეგისტრატორების თავაუღებელი, 7-საათიანი მუშაობის პროცესში ფორმდება ამბულატორიული პაციენტების ახალი სამედიცინო ისტორიები, რომლის შევსებას გარკვეული დრო სჭირდება. რეგისტრატორი არკვევს, თუ რომელ ექიმთან სურს პაციენტს შესვლა, რომელი ანალიზის აღება, ყველაფრის გაფორმების შემდეგ, რასაც 10-12 წუთი სჭირდება, ავადმყოფი მიდის უბნის ექიმთან, რომელიც ადგილზე უნდა იყოს 10 საათიდან, თუმცა გადის კიდევ ბევრი წუთი და არავინაა... ნელ-ნელა ჩნდებიან ასაკოვანი ექიმები და ექთნები. ექიმები არკვევენ და იწყებენ მონაცემების შევსებას. პაციენტს ეუბნებიან, რომ პროთრომბინის ანალიზის ფასი 12 ლარია, თუმცა სალაროსთან ანუ რეგისტრატურასთან ხელახლა რიგში ჩამდგარი ავადმყოფი იხდის 15 ლარს, მეტი რა გზა აქვს, ამის შემდეგ მიდის ლაბორატორიისკენ, სადაც ცოცხალი რიგია და რიგითი ნომრები აღარ ჭირდება, იქაც იკავებს ახალ რიგს და შედის ანალიზების ასაღებად, რომლის პასუხები მეორე დილისთვის მზადაა.

დაკვირვებული თვალი სწრაფად აღმოაჩენს კამერებს სამუშაო ოთახებში და სარეგისტრაციო დარბაზში და მყისვე მიხვდება, თუ რატომ ჭირდება ამდენი დრო ექიმთან მოხვედრას და ლაბორატორიაში ანალიზების აღებას.

ყველაფერს ხომ კამერები აფიქსირებენ, სადაც ჩანს და კამერის მიღმა მაყურებელი, ადამიანის თვალი მუდმივად ხედავს რეგისტრატურასთან სამუშაო სიტუაციას, გაუთავებელ რიგს. ოღონდ ამ რიგში 3-ჯერ რატომ დგებიან ერთი და იგივე ადამიანები, საკითხავი ალბათ ეს არის, თუმცა მთავარია, ისინი ხედავდნენ რიგს. ე.ი. ყველაფერი საათივით აწყობილი და მოწყობილია.

ილუზური ქაოსი, მხოლოდ კამერების სათვალთვალოდ არის მოწყობილი.

საღამოს 17 საათზე, კაბინეტებიდან, როგორც რობოტები გამოდიან დაქანცული ექიმები და თითქმის ყველა ერთად მიემართება მეორე სამსახურში, ზოგი სად და ზოგი სად... სადაც მათ სხვა უცხოელი ტურისტები სულმოუთქმელად ელიან.

ეს მისავათებული ექიმები და ექთნები ახლა იქ აგრძელებენ მუშაობას.

**საკითხავია, იქ ეს ექიმები რატომ იცვითებიან? ექიმს რომ ხელფასი 250 ლარი ექნება, მეტი რაღა დარჩენა, იძულებულია ეძებოს დამატებითი სამუშაო, დამატებითი ანაზღაურებისათვის.**

ისინი დაღლილები, გამოფიტულები უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს, სადაც ალბათ ოჯახის წევრებთან დალაპარაკების თავიც აღარ აქვთ და დაღლილებს მხოლოდ ძილი უნდათ.

მეორე დღეს მეორდება იგივე კარუსელი...

თუმცა, ჩვენ გაკვირვებულები ვკითხულობთ, რატომ გარდაიცვალა მოულოდნელად ახალგაზრდა ექიმი თუ ექთანი? განა ადამიანის გულს და ფსიქიკას უკიდეგანო მოთმენის და გაძლების უნარი აქვს? არა. ყველას თავისი ნორმის ზღვარი გააჩნია.

სწორედ ამიტომ ვართ ქართველები ონკოლოგიაში, გულსისხლძარღვთა დაავადებათა და სხვათა ნუსხაში რეგიონში და კავკასიაში პირველ ადგილზე.

**რატომ ხდება ასე?**

იმიტომ, რომ კლინიკის მფლობელების, დირექტორების და უფრო მაღალი იერარქიის წარმომადგენლების მადას არ აქვს საზღვარი, **ისინი უძირო ქვევრში არიან, რომელიც არ ივსება, სწორედ ამიტომ აძვირებენ მომსახურების ტარიფებს.**

თუმცა ვინც ამ მომსახურებას უშუალოდ ასრულებს, მათი ხელფასი სამციფრიანია, ბობოლებისა კი, ხშირად ექვსნიშნიანი.

**ყველაფერი მაინც ფულთან მიდის, ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული, ფულთან ბრძოლაში კი კაცობრიობა დამარცხდა.**

თანამედროვე მედიცინა კი პაციენტს ვერ შველის, ის მხოლოდ სიმპტომებს იკვლევს, არავის აინტერესებს დაავადების სიღრმისეულად წარმოშობის მიზეზები. მაშ, რაღა უნდა მოსთხოვო ექიმს, რომელიც თვითონ პაციენტია და რომელსაც ხელფასი სამნიშნა აქვს. ექიმი იძლევა დანიშნულებას, პაციენტს დროებით უყუჩდება სიმპტომი, ცოტა ხანში პაციენტი ხვდება, რომ ის მოტყუებულია, რომ მას ექიმი და ექთანი ვერაფერს შველის, თუ თვითონ არ უშველა საკუთარ თავს.

სამედიცინო სფეროში ერთადერთი ქირურგები არიან მართლაც გაუბედურებული პაციენტების მშველელები და დამხმარეები, მათი ძლიერი სკალპელიანი ხელი ყოველთვის სწორ და სწრაფ გადაწყვეტილებას იღებს და ისე მოქმედებს.

ასეთია მთელი თანამედროვე მედიცინა არა მარტო ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსში“, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

ასეთ ტრაგიკომიკურ მდგომარეობაშია დღეს ხალხი.

ვიდრე კერძო კლინიკებში უძირო ქვევრები გაბერილი შტატების სახით არ მოისპობა, რიგითი ექიმები და ექთნები ვერ მიიღებენ ღირსეულ ანაზღაურებას თავისი თავდაუზოგავი გარჯის მიუხედავად.

ქვეყნის მოსახლეობა კი გამოჯანმრთელებული არასოდეს იქნება და ღირსეულად ვერასოდეს იცხოვრებს.

P.S. **დიდი ხანია ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ დირექციას სპეციალური კითხვარი მივართვით და ვთხოვეთ, კონკრეტული პასუხი გაეცა კლინიკაში არსებული პრობლემებისათვის, თუ რის გამოსწორებას აპირებდა, მაგრამ თვეები გადის და... როგორც გვითხრეს, დირექტორი იმდენად დაკავებულია, კითხვების პასუხის გასაცემად ვერ მოიცალა.**

**იძულებული ვართ, ჩვენი თვალით დანახული „ჯეოჰოსპიტალსის“ შუქ-ჩრდილები უფრო ფართო სპექტრით გავაცნოთ ჯანმრთელობაშერყეულ ბორჯომელებს.**

**დავიწყოთ იმით, რომ კერძო კლინიკებში სამედიცინო პერსონალის ხელფასები მიზერულია და როგორც ავტორი წერს, კლინიკების მფლობელების მადა ძალიან მაღალია და „უძირო ქვევრებს“ ემსგავსება მათი შემოსავლები.**

**თუ გულახდილი ვიქნებით ბორჯომელთა წინაშე, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ არაერთხელ თქმულს, - შესანიშნავი საავადმყოფო გვქონდა ვაშლოვანაში, სადაც სამშობიაროს, ინფექციურ განყოფილებას, საოპერაციოს, ლაბორატორიას და სხვა სამსახურებს მუშაობის იდეალური პირობები ჰქონდათ და ისე ვიწროდ არ იყვნენ, დღეს რომ არიან „ჯეოჰოსპიტალსში“. ქალაქის ცენტრში მოინდომეს სამკურნალო კლინიკის გადმოტანა, რისთვისაც ისტორიული პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა შეიწირეს.**

**აშენდა თანამედროვე სამკურნალო დაწესებულება, რომელიც კატასტროფულ სივიწროვეს განიცდის და ამას თვალნათლივ ვხედავთ. თითოეულ კაბინეტში ორი და მეტი ექიმი რიგრიგობით იღებს პაციენტს, არანაირი სამუშაო პირობები არ აქვს. უროლოგი, ოკულისტი და სხვა სპეციალისტები კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ არიან სამსახურში. რა თქმა უნდა, ისინი სიმბოლურ ხელფასებს იღებენ. სულ ახლახანს რენდგენოლოგის შტატი შეამცირეს და უმუშევარი დატოვეს ადამიანი, რომელსაც მეტად მძიმე ოჯახური პირობები აქვს.**

**ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ადგილობრივი ექიმები დაბალი ანაზღაურების გამო კლინიკიდან მიდიან და სხვაგან ეძებენ სამსახურს, სამაგიეროდ, ბორჯომი სხვა რაიონებიდან მოწვეული მედიცინის მუშაკებით ივსება...**

**დღეს ბავშვთა პოლიკლინიკის ძველი შენობა დაკეტილია და კლინიკაში მხოლოდ ერთი ოთახი უკავია, ხოლო პოლიკლინიკის სამსართულიან შენობას, რომელიც კლინიკიდან ოციოდე მეტრის მოშორებითაა, ფუნქცია დაკარგული აქვს, იმ შესანიშნავ შენობაშია ლუდის ბარი, სამკერვალო, საპარიკმახერო, ევროპული ტანსაცმლის მაღაზია, ავტოსკოლა, არქივი, პოლიტიკური პარტიის ოფისი და ა.შ. ეს მაშინ, როცა კლინიკაში პოლიკლინიკის მუშაკებს მხოლოდ ორი ოთახი აქვს დათმობილი.**

**ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ ნაკლოვანებების გამომზეურება რედაქციის მიზანს არ წარმოადგენდა, მაგრამ ახლა, როცა ჩვენ ქვეყანაში მეტად სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება მშრომელთა ჯანდაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, გვაინტერესებს, ბორჯომელებმა იცოდნენ, რა კეთდება „ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკაში მუშაობის გასაუმჯობესებლად. იმედს ვიტოვებთ, გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს კლინიკის დირექცია გამოეხმაურება.**

**ვალერიან ლომიძე**

# მსოფლიოში 122 მილიონით მეტი ადამიანი შიმშილობს

**ბოლო** კვლევის მიხედვით, მსოფლიოში 735 მილიონი ადამიანი შიმშილობს. 2019 წელს ეს რიცხვი 613 მილიონი იყო.

- პანდემიის, ბუნებრივი კატასტროფებისა და კონფლიქტების, მათ შორის, უკრაინაში ომის შედეგად, მსოფლიოში, 2019 წელთან შედარებით, 122 მილიონით მეტი ადამიანი შიმშილობს - ამის შესახებ გაეროს ხუთი სააგენტოს ერთობლივ ანგარიშში **„სასურსათო უსაფრთხოება და სურსათის მოხმარება მსოფლიოში“** (SOFI) წერია.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და მსოფლიო სურსათის პროგრამა (WFP) გვაფრთხილებენ, რომ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, შიმშილის დასრულების თაობაზე მდგრადი განვითარების მიზნებს 2030 წლისათვის ვერ მივაღწევთ.

## მონოდება შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ

2023 წლის ანგარიშის თანახმად, 2022 წელს 691-დან 783 მილიონ ადამიანამდე შიმშილობდა, საშუალოდ - 735 მილიონი ადამიანი. ეს პანდემიამდელ მონაცემებს 122 მილიონით აღემატება.

2021-2022 წლებში გლობალური შიმშილის ზრდა შეჩერდა, თუმცა, მსოფლიოს ბევრ წერტილში სასურსათო კრიზისები ღრმავდება. 2022 წელს იმ ადამიანების რიცხვი, ვინც შიმშილობს, შემცირდა აზიასა და აფრიკაში, მაგრამ გაიზარდა დასავლეთ აზიაში, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებსა და აფრიკის ყველა ქვერეგიონში. აფრიკა შიმშილის კუთხით ყველაზე მეტად დაზარალებულ რეგიონად რჩება - კონტინენტზე ყოველი ხუთიდან ერთი ადამიანი შიმშილობს, რაც გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ორჯერ აღემატება.

„არსებობს იმედის სხივები, ზოგიერთი რეგიონი კვალდაკვალ მიჰყვება 2030 წლისათვის ნუტრიციული სამიზნეების შესრულებას. თუმცა, მთლიანობაში, გვჭირდება აქტიური და დაუყოვნებელი გლობალური ძალისხმევა მდგრადი განვითარების მიზნების გადასარჩენად. ჩვენ უნდა გავხდეთ უფრო მედეგი კონფლიქტის და კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კრიზისებისა და შოკური პერიოდების მიმართ, რომლებსაც სასურსათო დაუცველობისკენ მივყავართ“, - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერესმა ვიდეომიმართვაში, ნიუ-იორკის სათაო ოფისში ანგარიშის გამოქვეყნებისას.



გაეროს ხუთი სააგენტოს ხელმძღვანელი: ანგარიშის წინასიტყვაობაში წერენ:

**„ეჭვგარეშეა, მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება ჩვენთვის მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის სამიზნის - ნულოვანი შიმშილის - მიღწევა. წინასწარი გათვლებით, 2030 წლისთვის თითქმის 600 მილიონი ადამიანი იშიმშილებს. სასურსათო დაუცველობისა და მალნუტრიციის გამომწვევი მთავარი მიზეზები ჩვენს „ახალ ნორმად“ იქცა და სხვა არჩევანი აღარ გვაქვს - უნდა გავაორმაგოთ ძალისხმევა აგროსასურსათო სისტემების გარდაქმნისთვის, მდგრადი განვითარების მეორე მიზნის (SDG2) მისაღწევად“.**

## შიმშილს მიღმა

2022 წელი მძიმე იყო სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის მოხმარების მიმართულებით. ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის 29.6 პროცენტს, ანუ 2.4 მილიარდ ადამიანს, არ ჰქონდა მუდმივი წვდომა საკვებზე - ეს განიხილება როგორც სურსათის დაუცველობის ზომიერი ან მძიმე გავრცელება. მათ შორის, 900 მილიონ ადამიანს მძიმე სასურსათო დაუცველობის მდგომარეობაში იყო.

პარალელურად, გაუარესდა ჯანსაღ კვებაზე წვდომის შესაძლებლობა: 2021 წელს მსოფლიოში 3.1 მილიარდ ადამიანს, რაც 42 პროცენტს შეადგენს, ჯანსაღი კვებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი არ ჰქონდა. ეს მონაცემი 2019 წელთან შედარებით 134 მილიონით მეტია.

მილიონობით ხუთ წლამდე ბავშვი არასწორი კვებით გამოწვეულ შედეგებს ებრძვის. 2022 წელს, ხუთ წლამდე ასაკის 148 მილიონ ბავშვს (22.3 პროცენტი) სიმაღლეში ჩამორჩენა აღენიშნა, 45 მილიონს (6.8 პროცენტი) - გამოფიტვა, ხოლო 37 მილიონს (5.6 პროცენტი) - ჭარბი წონა.

გაიზარდა ექსკლუზიურად ძუძუთი კვებაზე მყოფი ბავშვების რაოდენობა: ექვს თვემდე ასაკის ჩვილების 48 პროცენტი საკვებს ამ გზით იღებს, რაც 2025 წლის მიზანთან ახლოსაა. თუმცა, მიზნების მისაღწევად, მეტი ერთიანი ძალისხმევაა საჭირო 2030 წელს მალნუტრიციასთან საბრძოლველად.

## ახალი მტკიცებულება: ურბანიზაცია აგროსასურსათო სისტემებში ცვლილებებს ახდენს

ანგარიში ასევე განიხილავს ურბანიზაციის ზრდას, როგორც „მეგატრენდს“, რაც ხალხის კვებით ჩვევებზე გავლენას ახდენს. იმ მოცემულობით, რომ 2050 წლისთვის ათიდან თითქმის შვიდი ადამიანი დიდ ქალაქებში იცხოვრებს, მთავრობებმა და შიმშილის დაძლევის, სასურსათო დაუცველობისა და არასწორი კვების მიმართულებით მომუშავე სხვა უწყებებმა ურბანიზაციის ტრენდები უნდა გააანალიზონ და პოლიტიკის შემუშავებისას გაითვალისწინონ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სოფელსა თუ ქალაქში ცხოვრების მიხედვით მარტივი დაყოფის კონცეფცია აღარ არის საკმარისი იმის გასააზრებლად, თუ როგორ გავლენას ახდენს ურბანიზაცია აგროსასურსათო სისტემებზე. სოფლებისა და ქალაქების ურთიერთკავშირის უფრო კომპლექსური პერსპექტივაა საჭირო და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანების ურთიერთობები და ქალაქებსა და სოფლებს შორის კავშირის მასშტაბი და ხარისხი.

ეს ევოლუცია, პირველად ისტორიაში, სისტემატურად დოკუმენტირებულია თერთმეტ ქვეყანაში. ანგარიშში ჩანს, რომ სურსათის შესყიდვები მაღალია არა მხოლოდ ქალაქებში მცხოვრებ ოჯახებში, არამედ, ისეთ დასახლებებშიც, სადაც ქალაქებსა და სოფლებს შორის მკვეთრი ზღვარი წაშლილია, მათ შორის, ქალაქის ცენტრისგან შორს მაცხოვრებლებშიც. ახალი მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ მაღალდამუშავებული საკვების მოხმარება იზრდება ზოგიერთი ქვეყნის ნახევრადურბანულ და სასოფლო არეალებში.

სამწუხაროდ, გრძელდება სივრცითი უთანასწორობა: სასურსათო დაუცველობას, უფრო მეტად, სოფლად მცხოვრები ხალხი ეჩეხება. სოფლად მცხოვრები ზრდასრული ადამიანების 33 პროცენტსა და ქალაქებში მცხოვრები ზრდასრული ადამიანების 26 პროცენტზე სასურსათო დაუცველობა მძიმედ, ან ზომიერი ხარისხით ახდენს გავლენას.

ბავშვთა მალნუტრიციის მიმართულებითაც გამოიკვეთა კონკრეტული მახასიათებლები ურბანული და სასოფლო არეალების კუთხით: ბავშვთა სიმაღლეში ჩამორჩენა უფრო მეტად სოფლებში იმატებს (35.8 პროცენტი), ვიდრე ქალაქებში (22.4). ასევე, მეტად ფიქსირდება სოფლად მცხოვრებ ბავშვებში გამოფიტვა (10.5 პროცენტი), ვიდრე ქალაქებში (7.7 პროცენტი). ოდნავ მეტად იზრდება ჭარბწონიანი ბავშვების რიცხვი ურბანულ არეალში (5.4 პროცენტი) სოფლებთან შედარებით (3.5 პროცენტი).

# სოლო კონცერტები ბორჯომის სცენაზე

**სილამაზე, რომელსაც ბავშვი ცეკვით იძენს, ასახვას ჰპოვებს მის სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე - ასე თქმულა და მართლაც, როცა პატარაობიდანვე ეზიარები ქართული ცეკვის საუცხოო ხიბლს, ძნელად რომ მას მოსცილდე! დაბადებიდან ვეთაყვანები ქართულ ცეკვას და დიდი სიხარულით ვესწრები ბორჯომში არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლების წარმოდგენებს, ვაფასებ ქორეოგრაფების მუხლჩაუხრელ შრომას. ცეკვაში ასახულია ჩვენი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ბევრი რამ სწორედ იქიდან შემოგვენახა, ამიტომ მახარებს მომავალი თაობის დიდი ინტერესი ცეკვისადმი. ეს ზაფხული მნიშვნელოვანი გახლდათ იმითაც, რომ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა გამართეს სოლო კონცერტები. მათ კიდევ ერთხელ აჩვენეს მაღალი პროფესიონალიზმი და მონუსხეს ბორჯომის მაყურებელი.**

**13 ივლისს** ანსაბლი „იმედის“ კონცერტმა დიდი შემოქმედებითი ფარდა გადასწია: მათ გადაწყვიტეს მრავალწლიანი შრომის შედეგი წარედგინათ ქორეოგრაფ **თეა გაბელაიას** ხელმძღვანელობით. მოწვეულები ვიყავით ანსამბლ „იმედის“ კონცერტზე, რომელიც 2005 წელს ჩამოყალიბდა. ბორჯომის საზოგადოებას კარგად ახსოვს ანსამბლის ხელმძღვანელი - როლანდ გაბელაია, მისი მონდომებისა და დამსახურების ბრალია, რომ მოცეკვავეებმა ბევრი წარმატებული კონცერტი აჩვენეს საქართველოს სხვადსხვა კუთხეს. ანსამბლისთვის უკვე ჩვეული ამბავია არაერთ ფესტივალზე მონაწილეობა, კონკურსების დაპყრობა. ნათელი დაადგეს ბატონის როლანდის - განუმეორებელი ქორეოგრაფის სულს! 2011 წლიდან ანსამბლი ახალგაზრდა, პერსპექტიულმა თეა გაბელაიამ გადაიბარა. 2015 წელს ანსამბლმა გაიარა ოფიციალური სერტიფიცირება. 2012 წელს ანსამბლი „იმედი“ გახდა ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლი, ხოლო 2017 წელს ანსამბლის სრული სახელწოდება ასე წარმოითქმის: რეზო ჭანიშვილის სახელობის ანსამბლი „იმედი“. მათი გზა იყო უამრავი ფესტივალის, კონკურსის გზა, რომელზეც ღირსეულად იარეს! 2015 წელსვე ანსამბლის ქორეოგრაფს, თეა გაბელაიას მიენიჭა ქორეოგრაფიის ამაგდარის წოდება! ეს ხომ მარტივად არ მოდის? ამ ყველაფერს სჭირდება შეუსვენებლად შრომა, ახალგაზრდების ერთ მუშტად შეკვრა და თავგანწირვაც კი. კონცერტზე უნდა გენახათ „იმედის“ „აჭარული“ - ეს არის ცეცხლი, რომელიც ყველა მაყურებელში ინთება პირველივე წუთებიდანვე! გინახავთ მათი




„სვანური“? ის ხომ სვანური მთებივით მედიდურია და ამაყი ჯილდოა! გინახავთ მათი შესრულებით „კინტოური“ და ქალ-ვაჟთა „მთიულური?“ როგორ ცხადად ჩანს იქ ქართველი კაცის დაუდგრომელი, მშფოთვარე და მოხერხებული ხასიათი! ქართულ ცეკვაზე არაერთი მშვენიერი სიტყვა თქმულა, მაგრამ ქართველისთვის ის უფრო სულის მოძრაობას ჰგავს! 2023 წელი ნაყოფიერი იყო ანსამბლ „იმედისათვის“. ანსამბლი იმყოფებოდა სიღნაღში ფესტივალზე, რომლის ორგანიზატორი იყო მზიანი საქართველო. ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა ფესტივალზე, ხოლო შემდგომ ანსამბლი იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ქემერში. 11 ივნისს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიის დღისადმი მიძღვნილ ფესტივალში, რომელიც ჩატარდა ქალაქ თელავში, რისთვისაც ულრმეს მადლობასეუბნება ანსამბლის ხელმძღვანელი ბორჯომის მერიასა და ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორს, ბატონ გაიოზ დვალიშვილს ფინანსური მხარდაჭერისათვის. 17 ივნისს ანსამბლის პატარა თაობა იყო თბილისში, პროფესიული კავშირების ფესტივალზე, სადაც წარმატებით გამოვიდნენ. სოლო კონცერტზე გქონდეს განაცხადი, ეს უკვე ბევრის მთქმელია: ახალგაზრდები დიდი სიყვარულით, სიტკბოთი მოილტვიან ყოველ რეპეტიციაზე, აქ გატარებული დღე მათთვის ძირითადი საქმეა, სადაც პატივისცემას, მეგობრობას სწავლობენ. სოლო კონცერტზე მაყურებელი კიდევ ერთხელ გაოცდა „ჯეირანით“, ტრადიციული „დავლურ-ქართულით“, ცეკვა „ოსური“ კი - თანაკულტურების ნათელი მანიშნებელი მერამდენედ გვაღელვებდა მაყურებელს. ცეკვა „სამაიამ“ ჩვენი დიდებული სამეფო წარსული გაგვახსენა, „ყაზბეგურმა“ კი მთის კაცის სიმტკიცე და სამართლიანობა! მუდამ ენთოს „იმედის“ ვარსკვლავი მომავალი თაობის სახით!

**2 აგვისტო** ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ანსამბლ „ფერხისის“ სოლო კონცერტს დაეთმო. ეს დღე ქორეოგრაფის, **ნინო მდივნიშვილის** ორიგინალური ხედვისა და სიუჟეტური ცეკვების ნამდვილი დემონსტრაცია გახლდათ. ეს არ იყო სოლო კონცერტი, ეს იყო უფრო სპექტაკლი მოცული საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიუჟეტები, იქაური სახასიათო ცხოვრებიდან გადმოღებული სურათხატებით. ბრავო ქორეოგრაფს, ამ შრომისთვის, ბავშვებში ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის და სიყვარულისთვის. ზუსტად ოც წელს ითვლის ანსამბლის ისტორია - წლები, რომლებმაც ბევრი წარმატება, ფესტივალი, სიგელი თუ აღიარება მოიტანა. ანსამბლის სახელი თავდაპირველად იყო „ბორჯი“, მოგვიანებით სულხან-საბას ცნობილი ლექსიკონიდან შეარჩიეს სახელწოდებად „ფერხისი“, რომელიც ფეხთან, მოძრაობასთან იყო კავშირში. სცენაზე იდგა დიდი თაობა ანსამბლისა, იდგა და თან როგორ: დაინგრა დარბაზი დამსახურებული ტაშით! სწორედ, ძველმა თაობამ შეასრულა გადასარევი რაჭული, რომელიც დაგაბრუნებდათ რაჭველი გლეხის ყანაში, თამაშობა-თამაშობით რომ ასრულებდნენ საყოფაცხოვრებო რუტინას, ამაღელვებელი აჭარულით მეტყველი გოგო-ბიჭები კიდევ ერთხელ გაგრძნობინებდათ განდაგანას ტრადიციას სისხლში რომ აღწევს. ცალკე ისტორია მოგვიყვა „ხორუმმა“ - მტერზე გამარჯვების ცეკვამ, რომელშიც გოგონათა ერთიანობამ გამოიხსნა აკვანში ჩაწვენილი გმირი საქართველოსი! მაყურებელს ცრემლები მოსდიოდა, თან სიამაყე იპყრობდა, რომ ჩვენ არ გადავშენდებით! მათ უნდა დავუტოვოთ ერთიანი ქვეყანა! მოვალენი ვართ! ასპარეზზე ენაკვიმატი სამეგროლოც გამოჩნდა მოხერხებული „ჯანსულოთი“. აფხაზ და ოს ხალხთან რომ მრავალწლიანი კულტურა და ყოფა გვაერთიანებს, ამას ჯიუტად არ შლის ოსური და აფხაზური ცეკვები! ისინი ჩვეული არტისტიზმით, დრამითა და მოუხელთებელი დინამიკით ერწყმიან ერთმანეთს. მოულოდნელი იყო სცენაზე ჯანსულ კახიძის




კლასიკის - „საარშიყოს“ ფონზე აწყობილი ცეკვა-თამაში, რომლითაც ახალგაზრდები ერთმანეთს ფარულ თუ ღია ტრფიალს უმტკიცებდნენ. გვეგონა არაფრით გავოცდებოდით, რადგან ორივე ქორეოგრაფის სოლო კონცერტი აღსავსე იყო დაუვიწყარი სიუჟეტებით, მათი შრომის ნაყოფი ზეიმობდა! მაინც გამოვარჩევდი ორი აგვისტოს წარმოდგენის ბოლო საცეკვაო კომპოზიციას, რომელიც კინო-მუსიკის (ქართული ფილმის „კაცია-ადამიანის?!“) ელემენტების ფონზე აიგო: საკუთარ აღსაზრდელებთან ერთად სცენა აანთო თავად ქორეოგრაფმა, თვალმოუწყვეტელი მშვენიერებით, ინარნარა, იფარფატა და კიდევ ერთხელ აჩვენა საკუთარ მოცეკვავეებს მაგალითი, თუ როგორ უნდა იცეკვო, როცა სხეულში სული მოძრაობს.

სადღაც ვთქვი და ისევ გავიმეორებ: ჯანსაღი კონკურენცია ყოველთვის უნდა იყოს ანსამბლებს შორის, მით უფრო, პატარა ქალაქებში, მაგრამ ეს ორი სოლო კონცერტი აღიარებული დასტურია იმისა, რომ ეს ესკიზური დადგმები აუცილებელია გასცდეს ადგილობრივ ლოკაციას და გადაინაცვლოს საქართველოს სახვადასხვა კუთხეში. დაე, დაინახონ, როგორ ცეკვავენ ბორჯომში!

**მონიკა ჭანტურია**

# სულით ძლიერ ადამიანს დამარცხება არ უწერია

**ქართველებს ბევრი კარგი თვისება გვაქვს, ალბათ, ეს ერთ-ერთი მთავარი „მიზეზი“ ქართველების და საქართველოს გადარჩენისა ესეცაა და ნამდვილად შეიძლება ვიამაყოთ, რომ დიდი იმპერიების გარშემორტყმული ჩვენი სამშობლო, ქართული ჯიში და ტრადიციები უთანასწორო ბრძოლაშიც კი ხშირად იმარჯვებდა.**

**იმ ბევრი კარგი თვისებებიდან ერთ-ერთი და გამორჩეული თვისება იყო მამულის, ოჯახის, მშობლების, დედმამიშვილების სიყვარული, რაც შთაგონებული იყო მშობლების ერთმანეთთან დამოკიდებულებით, ოჯახის ერთგულებით, ერთად შრომით. შვილები ხედავდნენ ამ დიდებულ ქართულ ოჯახურ ურთიერთობებს, ბაძავდნენ მშობლებს, ითვისებდნენ მათ საქმიან დამოკიდებულებას, ოჯახის წევრთა მიმართ უანგარო სიყვარულს, რითაც მშობლებს უადვილებდნენ ოჯახის მართვას.**

**ასეთი მაგალითები უამრავია და ამჯერად მინდა შევჩერდე ერთ მეტად სანაქებო ოჯახზე, სადაც გაიზარდნენ შესანიშნავი მოქალაქეები, შემდეგ კი თვითონაც შექმნეს ასევე ლამაზი ოჯახები.**

**დიახ,** ახალდაბაში, წერეთლის ქუჩაზე ცხოვრობდა შეხმატკბილებული ოჯახი, რომლის უფროსი ბატონი **კუკური ბლიაძე** მართლაც რომ გამორჩეული იყო ახალდაბაში, რომ იტყვიან, სამეზობლოს და სანათესაოს გაჭირვების ტალკვესი. ყველაფერი ეხერხებოდა, რაც მეურნე კაცს უნდა სცოდნოდა, მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური მეავეჯე იყო და თანაც წარმატებული, ხელფასსაც საკმაოდ გამოიმუშავებდა, არ ერიდებოდა მიწაზე მუშაობას, თავისი შრომით თითქმის საკმარისი სოფლის პროდუქტები მოყავდა. მამის დანატოვარი სახლი განაახლა, ახალგაზრდობაში ფეხბურთსაც შესანიშნავად თამაშობდა, კარგად ფლობდა ტყეში მუშაობის მეთოდებს, იცოდა ხილის მყნობა, რომელიც მამამ ასწავლა. შინაური ცხოველების დაკვლისას, მეზობლები მხოლოდ ბატონ კუკურის ეძახდნენ, უზადოდ აკეთებდა ყველაფერს. ბატონმა კუკურიმ მეუღლეც ღირსეული შეარჩია. ზაფხულში ახალდაბაში საბავშვო ბაღები ჩამოყავდათ დასასვენებლად, აი, სწორედ აქ შეარჩია ბატონმა კუკურიმ მშვენიერი მოკრძალებული ქალიშვილი ეთერ ხოფერია და ბევრი ფიქრი არ დაუწყია. კუკურის ვაჟკაცურ სიტყვას ენდო ქალბატონი ეთერი და ერთობლივი შრომით შექმნეს მშვენიერი ოჯახი, შეეძინათ სამი შვილი - ნინო და ვასიკო და პაატა.

ქალბატონმა ეთერმა ნორჩი თაობის აღზრდას შეალია მთელი ცხოვრება, მის სითბოს და მოფერებას დღესაც ტკბილად იხსენებენ ახალდაბელი გოგო-ბიჭები.

დედმამიშვილები ერთმანეთის სიყვარულით დაიზარდნენ, მხარში ედგნენ მშობლებს, როცა უფროსი ძმის ვასიკოს დაქორწინების დრო მოვიდა, ოჯახმა გადაწყვიტა, ვასიკოსთვის მამისეულ მიწაზე სახლი აეშენებინათ, უმოკლეს დროში მშვენიერი სახლი აშენდა, დაოჯახდა უფროსი ძმა, რომელმაც სამხედრო სამსახური, შორეულ ავღანეთში საომარი მოქმედებების პირობებში მოიხადა, თუმცა იქიდან ჯანმრთელობაშერყეული დაბრუნდა.

უმცროსი შვილი პაატა, ჯანღონით სავსე, მშობლებს გვერდით დაუდგა. ოჯახში თუ რამე პრობლემა წარმოიშვებოდა, მისი მონაწილეობის გარეშე არ წყდებოდა. მალე პაატამაც შექმნა მშვენიერი ოჯახი, მათაც სამი შვილი შეეძინათ 2 გოგონა, შემდეგ სანატრელი ბიჭი გიორგი დაიბადა, რომელიც ახლა 21 წლისაა და მშობლების სული და გულია.

პაატას მეუღლე ნონა ლომიძე მეუღლის გვერდით ერთგულად შრომობს და ბრწყინვალედ ახერხებს მეუღლესთან ერთად ოჯახის გაძღოლას.

პაატაზე ბევრი კარგის თქმა შეიძლება. მან სკოლის დამთავრების შემდეგ საავეჯო ფაბრიკაში მამის გვერდით დაიწყო მუშაობა. კარგად აითვისა რამდენიმე სპეციალობა, ჯარშიც იმსახურა, შექმნა ოჯახი და ისევ ფაბრიკას დაუბრუნდა. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ მოსახლეობის 80-90 პროცენტი უმუშევარი დარჩა, პაატამ თავის მოგვარეს და მეგობრის გოჩა ბლიაძის ხის დამუშავების საამქროს შეაფარა თავი, რათა ოჯახისათვის საარსებო საშუალება ქონებოდათ.

ბევრი ახალდაბელისათვის ასეთი ცხოვრება მაშინ უცხო არ იყო. გასული საუკუნის 90-იან მძიმე წლებში გარდაიცვალა ოჯახის ბურჯი ბატონი კუკური, მის გაპატიოსნებაში დიდი წვლილი შეიტანა უმცროსმა შვილმა პაატამ, მთელი სიმძიმე მას დააწვა. თავის ოჯახთან ერთად პაატას საფიქრალი იყო მოამაგე დედაც. ინვალიდი დედის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბევრი იბრძოლეს და დედის გარდაცვალების შემდეგ მისთვის ძვირფასი და, ნინოც 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. ავღანეთის ომში დაღდასმული უფროსი ძმის ჯანმრთლობაც შეირყა, რამდენიმე წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, უმცროსმა ძმამ, პაატამ შეუძლებელი შეძლო, ყველა ღირსეულად დაკრძალა, ყოველმხრივ პატივი მიაგო, ისე რომ, ერთი არ დაუკვნესია, ისე შეხვდა ყველა გასაჭირს, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება.

ყოველივე აღნიშნულს იმიტომ ვწერ, რომ სულით ძლიერ ადამიანს დამარცხება არ უწერია. ცხოვრება ისაა, რომელიც სულ რაღაც სიურპრიზებს გვიმზადებს, იავარდით მოფენილი გზის ნახვა არც თუ იოლია. პაატამ უკვე გადააცილა ნახევარ საუკუნოვან ასაკს, ეს მოხდენილი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმის მქონე კაცი თავის მოსწრებულ ვაჟს, გიორგის უნერგავს სამშობლოს სიყვარულს, ოჯახის ერთგულებას, შრომას, დედმამიშვილების პატივისცემას.

ცხოვრება გრძელდება შრომაში, ფიქრში, რა და როგორ გაკეთდეს წამოწყებული საქმე, რომ ოჯახი გადარჩეს. დარწმუნებული ვარ, პაატა თავის ოჯახთან ერთად შეძლებს კვლავაც იცხოვროს კაცურად, იყოს ღირსეული მამის ღირსეული მემკვიდრე.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**



# ვულოცავთ!

ბევრი რამ მაქვს სათქმელი... თითქმის ცამეტწლიანი ერთად თანამშრომლობის წლები მხოლოდ ჩემდამი პატივისცემა და სიყვარული რომ იყო, ამისთვის ულრმესი მადლობა!.. ყველა ურთიერთობიდან ბევრი რამე ვისწავლე! ჩვენ თანამშრომლებზე უფრო მეტად, ბაბუა და შვილიშვილის დამოკიდებულება უფრო გვქონდა და ეს უკვე ძალიან ბევრია! მადლობა ამისთვისაც!

დღეს მარტო ხართ თითქოს ბრძოლაში... თუმცა, ვინც გაზეთის დღემდე მოღწევის ისტორია იცის, უთვალავი ადამიანია და ისინი ხილულად და უხილავად თქვენს გვერდით დგანან! დრო და უფალი – ყველაზე დიდი მსაჯული დაგვანახებს ვინ, როდის, სად იყო მართალი, ამიტომ გულს ნუ დაიდარდიანებთ, თქვენი და გაზეთის წარსული თქვენი აწმყოს ქომაგია! ისინი ერთმანეთის გარეშე ვერავის წარმოუდგენია... თქვენ გაზეთით სუნთქავთ! ის ამაყადაა მხოლოდ თქვენს მხრებზე შედგმული და მაინც აგრძელებს ცხოვრებას!

გილოცავთ 81 წელს! შესაშური მხნეობა, ეს შემართება დღეგრძელად გქონდეთ დიდხანს!

**მონიკა ჭანტურია.**

სამაგალითო პიროვნებას, ბორჯომის კოლორიტს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორს, **ვალერიან ლომიძეს** ვულოცავ დაბადების დღეს! ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. კიდევ მრავალი წელი ეკეთებინოს საყვარელი და ეგზომ საშური საქმე.

სხვადასხვა პოზიციაზე მასთან წლები ვიმუშავე. მიხარია იმ დროის გახსენება, რადგან იმ პერიოდმა ჩემში, როგორც პიროვნებაში, დიდი კომპეტენცია, განვითარება, ჯანსაღი მიდგომები და მთელი რიგი საკითხების მიმართ ადეკვატური დამოკიდებულება მოიტანა. მადლობა მას ამ საოცრად ნაყოფიერი წლებისთვის.

**იზო სარქისიანი**

## ვიოლეტა ბალახაშვილს!



ჩემო ძვირფასო, გილოცავ დაბადების დღეს. იყავი ყოველთვის ჯანმრთელი და ბედნიერი, შენი ლამაზი ოჯახით. დაე, შენი ყოველი საქმე და შემოქმედება ოქროს ასოებით ჩაიწეროს ბორჯომის ხეობის მატიანეში. უფალმა დაგლოცოს. გეხვევი და გკოცნი იტალიიდან.

**ნანა თედიაშვილი-ცუცქირიძე.**

### ექღვნება შოვის ტრაგედიას!

## მშველელად გიხმობთ

ისევ აკვნესდა გული,
ისევ აკივლდა ზეცაც,
სიმწრით გაქვავდა ცრემლიც,
თალხმა გადაჰკრა მზესაც.
ეს მერამდენედ უკვე,
განსაცდელს გვივლენ ღმერთო?
მიწამ ჩაყლაპა შოვი,
სიმწარე გვერგო ერთობ.
ვინც შენ უარგყოფს, სცოდავს,
და სოდომ გომორს გვიწყობს,
მას აზღვევინე ცოდვა,
ვინც გახრწნილობას იხმობს.
გადაარჩინე ერი,
გადააფარე კალთა,
მწუხარება და გლოვა
კვლავ ყველა საზღვარს გასცდა.
უცოდველ ხალხს და ბავშვებს
წყალს ნუ გაატან ღმერთო,
ერთადერთ მხსნელს და იმედს,
მშველელად გიხმობთ, ვერ გთმობთ.

**იზო სარქისიანი.**

## რაჭას

რაჭა, ჩემო სიყვარულო,
შოვო, ჩემო მეზობელო,
კეხვში მგზავრად ისვენებდი,
ჯავას თბილად გაივლიდი.
*ახლა, ცრემლი ღვარად მოგდის,
ღვარცოფს ორად გაუპიხარ,
ნაძვნარს შავი ჩაუცვია,
(2 აგვისტოს წმ.ელიას დღე)
ლოცვას ფუჭად ჩაუვლია.
რაჭა, ჩემო სიყვარულო,
შოვო, კალთა ბუნებისა,
სიცოცხლე და სიხარული
შენში იყო ვითარც ღვთისა.
*შოვში მეწყდა სიცოცხლე და,
გუბის წყალი ლეშად იქცა,
არც ჭანჭახმა დაგვინდო და,
ისიც ბრძოლის ველად იქცა.
*რაჭა, ჩემო სიყვარულო,
შოვო, ჩემო მეზობელო,
თვალში ცრემლი აღარა მაქვს,
ის დავტოვე სამაჩაბლოს.
*გული როგორ დავინამო,
სული როგორ დავიმშვიდო,
როცა გხედავ რა დღეში ხარ,
წელში როგორ გავიმართო?!.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
5 აგვისტო, 2023 წელი.

## ზებრა გადასასვლების გარეშე დარჩენილი ქუჩები

**ბორჯომში** რომ უამრავი ავტომობილი მოძრაობს, ეს პრობლემა ახალი არაა. ტრანსპორტის მოძრაობა განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზეა შესამჩნევი და იმ პირობებში, რომ ქალაქში ნორმალური საპარკინგე ადგილი არ არსებობს და ავტომანქანები დილ-



იდან საღამომდე ზედ ტროტუარზე, ბარდიურების გაყოლებასა და ქალაქის ცენტრში არსებული სავაჭრო ობიექტების წინ დგანან, ეს კიდევ უფრო მეტად ართულებს სიტუაციას. თანაც იმ ფონზე კიდევ, როდესაც ცენტრალურ ტრასაზე უზარმაზარი ტრაილერები მოძრაობენ. სწორედ ამ უმართავი მოძრაობის გამო გახდა წლების წინ ერთ-ერთი ბორჯომელი ქალბატონი ტრაილერის მძღოლის მსხვერპლი, რომელმაც ფაქტიურად, ვერ დაინახა ქვეითად მოსიარულე ქალბატონი. სამწუხაროდ, ქალბატონს ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ამ ზაფხულის სეზონზე კი კიდევ დამატებითი თავის ტკივილი დაგვემატა, როგორც ადგილობრივებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებსა თუ ტურისტებს. ქალაქში სერიოზულად გაჭიანურდა ასფალტის დაგება, არც ერთ ადგილაე არ არის დახაზული ზებრა გადასასვლელები. ამბობენ, რომ თუ გზის დაგება არ დასრულებულა, ზემოდან კიდევ ერთი ფენა უნდა გადაიგოსო და ასე მიტოვებულ ცენტრალურ ქუჩებზე გვიწევს ქვეითად მოისიარულეებს ფაქტიურად, უფლის იმედად სიარული. ადგილობრივი მძღოლების გარდა ხომ კაციშვილი ვერ ხვდება რომ ცენტრალურ ქუჩასთან ბარდიურთან მდგარი ადამიანი დგას და ტრანსპორტის შიშით მეორე მხარეს ვერ გადადის.

რამდენიმე დღის წინ ნაცნობი შემხვდა, რომელსაც სამი შვილი გადაჰყავდა გზაზე და ვაი იმ გადაყვანას. მე რომ არ ვყოფილიყავი, წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდებოდა. ფაქტიურად, ხელის ქნევით შევაჩერეთ მძღოლები და აქეთ არ დავუტოვეთ გზა რომ გავეტარებიეთ. აღნიშნული ამბიდან რამდენიმე დღე გავიდა და ქალაქის ცენტრთან იქ, სადაც რეალურად ზებრა გადასასვლელი იყო ადრე, მარჯვნიდან მომავალმა მანქანამ შემიჩერა, მიხვდა, ალბათ რომ გადავდიოდი. აი, საპირისპირო მხრიდან მომავალს კი არც კი მოუვიდა აზრად, რომ ცოტა შეენელებია სიჩქარე. შუა ტრასაზე გადასულს იმხელა ხმაზე მომიწია დაძახებამ, ვერ მხედავ, შე დალოცვილო, რომ გადავდივარ თუ მოკვლას მიპირებ-თქო? და მძღოლის რეაქცია არ გაინტერესებთ? გგონიათ შეანელა? აქეთ შემომიყვირა ნიშნის მოგებით, ვერა, ვერ გხედავო. ერთი ნაბიჯით გადავასწარი და სამშვიდობოს გადავედი.

აი, ამ ამბების შემდეგ, უბრალოდ კითხვა მიჩნდება, კი მაგრამ, ზებრა გადასავლელებს არ ხაზავთ, არ ხაზავთ, ველოდებოდით უფრო ხარისხიანი გზის დაგებას, (რომელიც გადაადგეს კიდეც), მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ნიშანი მაინც დადგან იქვე, ახლოს ქვეითად მოსიარულეთათვის, რომ ასეთ მართლაც და კოშმარულ მოძრაობაში საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების სანაცვლოდ არ ვიაროთ ხალხმა?

მოამზადა **ნატო მელიქიძე**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №240459
შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

### ჭადრაკი

## ბარბარეს ნიჭმა კვლავ გაიბრწყინა




21-28 ივლისს ბათუმში ჩატარდა საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც ბორჯომიდან მონაწილეობდნენ დები: **ბარბარე და ელენე შონიები**. 10 წლის ასაკში ბარბარე ეპაექრებოდა როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს (34 მონაწილეს შორის 9 გოგონა თამაშობდა). 7 ტურში მან არა მარტო გოგონებს სძლია, ყველა შემხვედრი ვაჟიც დაამარცხა და 10 წლის ასაკში ფესტივალის ჩემპიონი გახდა როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში.

ელენე რვა წლის ასაკში გოგონებს შორის მეოთხე ადგილს დასჯერდა.

სექტემბერში ბარბარე რუმინეთში გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. წარმატება ვუსურვოთ ბარბარეს!

**უშანგი ჯარგირაშვილი.**

## ქირავდება

**ბორჯომში, მესხეთის ქ. №42-ში ავტოგასამართ სადგურზე ქირავდება 14 კვ.მეტრი ფართი: სწრაფი კვების, მინიმარკეტის და სხვადასხვა ბიზნეს-საქმიანობისათვის.**
**შენობა გარემონტებულია, დაცულია ვიდეოთვალის დაკვირვების ქვეშ.**
**დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ**
**ტელეფონზე: 599 578 412 ვალერი**

## კონსტანტინე ებრალიძის გახსენება



4 აგვისტო ის უბედნიერესი დღე იყო, 56 წლის წინ რომ დაიბადე, კოტე! – შენ აჩუქე პირველი დიდი სიხარული ოჯახს. მხოლოდ 27 დაბადების დღეს შეხვდი და აგერ უკვე 29 წელია უშენოდ გვითენდება ეს დღე.

და არა მხოლოდ ეს – ყოველი დღე შენზე ლოცვის, შენი ხსენების, სევდისა და შენი მონატრებით იწყება...

ერთგვაროვან დღეებს ყვავილებით გაგიფერადებთ, სიბნელეს – სინათლით გაგინათებთ, სინანულით გაგიხსენებთ და სიყვარულით მოგეფერებით. შენც ხომ სწორედ ასე იცხოვრე, თუმცა ხანმოკლედ, მაგრამ კაცურად! ყველგან სიკეთესა და სითბოს ტოვებდი, ყველასთან მართალი კაცი იყავი, ყველას გულში იკრავდი და ეფერებოდი, მაგრამ მაინც დაგრჩა სათქმელი, დაგრჩა აუხდენელი ოცნება, დაგრჩა დედის თვალზე ცრემლი და უსაშველო მონატრება...

უფალს ებარებოდე, ჩვენო ღიმილის ბიჭო! შენი სიმართლე გინათებდეს უფლისკენ სავალ გზას. დაბადების დღეს გილოცავთ და მუხლმოდრეკით შევავედრებთ ღვთისმშობელს შენს უმწიკვლო სულს მართალთა სავანეში დასაწესებლად, კანდლად აგინთებთ ლოცვას და ჩვენს სიყვარულს დაგიფენთ ფიანდაზად – ზეციური სასუფევლისკენ მიმავალი გზის დასამშვენებლად...

**ებრალიძეების ოჯახი.**

## ვოვა ბაბიაშვილის გახსენება



დღეები დღეებს მისდევს და უფრო მეტად გაუსაძლისი ხდება შენი ამქვეყნიდან წასვლით გამოწვეული ტკივილი. 14 აგვისტოს 2 წელი შესრულდება რაც ამიერ საქართველო დატოვე და იმიერში გადაინაცვლე. გულში კი დაგვიტოვე უდიდესი სევდა და ტკივილი. ყველაზე მთავარი კი, რაც შენგან დაგვრჩა, ბევრი კარგი მოგონებაა, რომლითაც დღესაც ვსულდგმულობთ. ვინ თქვა, რომ დრო ყველაფრის მკურნალია? დრო არაფერსაც არ კურნავს, უბრალოდ გვასწავლის, როგორ გავუძლოთ გაუსაძლისს იმის იმედით, რომ შენი დანატოვარი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად გააგრძელებენ შენ სახელს. ორი წელი ხომ არც ისე დიდი და არც ისეთი პატარა დრო არ ყოფილა იმ ტკივილის შესამსუბუქებლად, რასაც შენი წასვლის შემდეგ განვიცდით. ვერანაირი აქ თქმული სიტყვა ვერ აღწერს უშენობით გამოწვეულ ტკივილს. გვიყვარხარ და უსასრულოდ გვენატრები. შენი სულის უკვდავსაყოფად კი შენი სულისთვის წარმოთქმულ ლოცვას ვიტოვებთ.

იხსენებს დედა **ნათელა გაგლოშვილი**, შვილები: **ნათია** და **დათო ბაბიაშვილები**, ძმა **კობა ბაბიაშვილი** ოჯახით.